სსიპ - ანაკლიის ღრმაწყლოვანი
ნავსადგურის განვითარების სააგენტო

LEPL ANAKLIA DEEP WATER PORT
DEVELOPMENT AGENCY

საქართველო, თბილისი, 0105 ბამბის რიგის ქ.N 7

7 Bambis Rigi Street, 0105, Tbilisi, Georgia

N: ADA-53

7 / ოქტომბერი /2022 წ

ქალბატონ ირმა ზოიძეს

ქ. ბათუმი, ტ. აბუსერიძის 33 ბ 10

ქალბატონო ირმა,

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2022 წლის 5 ოქტომბრის №08/7743 წერილით გადმოგზავნილი თქვენი 2022 წლის 16 აგვისტოს განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ 2022 წლის განმავლობაში სსიპ - ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტოს მიერ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით შემუშავებულ იქნა დოკუმენტაცია ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების პროექტის ახალი შესარჩევი პროცესის დასაწყებად, რომელიც წარდგენილ იქნა საქართველოს მთავრობის სხდომაზე განსახილველად და საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 სექტემბრის #1666 განკარგულებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სააგენტოს მიეცათ თანხმობა, რომ პროექტის განხორციელება დაიწყონ „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კერძო პარტნიორის შერჩევის ეტაპიდან.

მოცემულ ეტაპზე, სააგენტო ასრულებს კომერციულ და იურიდიულ საკითხებში საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიის შერჩევის პროცესს (ბაზრის კვლევა), რომლის შედეგადაც, შერჩეული საკონსულტაციო კომპანიების ჩართულობით, სააგენტო, უახლოეს პერიოდში უზრუნველყოფს ინვესტორის შერჩევის პროცესის განზრახულობის შესახებ განაცხადისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემუშავებას და მის გამოქვეყნებას დადგენილი წესით. პორტის მშენებლობისა და ექსპლუატაციაში შესვლის ვადები, ასევე სხვა პირობებიც განსაზღვრული იქნება აღნიშნულ დოკუმენტაციაში.

გარდა ამისა, გაცნობებთ, რომ 2021 წელს სააგენტოს დაკვეთით საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია MTBS ის მიერ შემუშავებულ იქნა პროექტის განსახორციელებლად საჭირო რიგი განახლებული ეკონომიკური და ფინანსური კვლევები, მათ შორის ტვირთნაკადების პროგნოზი და ფინანსური მოდელი, რომელთა გამჟღავნება შეზღუდულია შესაბამისი კონფიდენციალობის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნულის პარალელურად, 2021-2022 წლებში სააგენტოს მიერ აქტიურად მიმდინარეობდა საკონსულტაციო შეხვედრები სხვადასხვა დაინტერესებულ პირებთან და პოტენციურ საერთაშორისო ინვესტორებთან.

აქვე, გაცნობებთ, რომ 2020-2021 წლებში, ასევე 2022 წლის პირველ ნახევარში პროექტის განხორციელება შეჩერებულ იქნა მსოფლიოში არსებული პანდემიისა და რეგიონში მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო, რაც შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენდა ინვესტორთა მოზიდვისა და სათანადო შესარჩევი პროცედურის ჩატარებისთვის.

პატივისცემით,

ქეთევან გოგუა

დირექტორის მოადგილე

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი